ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3980971

ნომერი: AR1602244

თარიღი : 21.05.2018

გაცემის თარიღი : 25.05.2018

გაცნობის თარიღი : 25.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა რუსთაველი , N 10ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01004008072
- თბილისი მთაწმინდის შეს. N 7ა ბ. 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  დემონტაჟი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – წყნეთი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა #10ა, შ.პ.ს "წისქვილი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.20.01.108.011), არსებული I კლასის ღობის დემონტაჟს, I კლასის ღობის, საყრდენი კედლის, ფანჩატურის, პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზის მშენებლობას და ტერიტორიის მოპირკეთება კეთილმოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს "წისქვილი"-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.20.01.108.011 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან– რეგ. N 882015292307 28/05/2015 წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – წყნეთი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა #10ა, შ.პ.ს "წისქვილი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.20.01.108.011), არსებული I კლასის ღობის დემონტაჟს, I კლასის ღობის, საყრდენი კედლის, ფანჩატურის, პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზის მშენებლობის და ტერიტორიის მოპირკეთება კეთილმოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ: შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა. შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.
• სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.
• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.